საქართველოს
ენერგეტიკული ბირჟა

ფინანსური ანგარიშსწორების

წესი სენბის ბაზრების მონაწილეებისათვის

V.4

აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული დებულებების გათვალისწინება სენბის მიერ ორგანიზებულ ბაზრებზე ვაჭრობის პროცესში სავალდებულოა.

დოკუმენტის ვერსიები

თარიღი და ვერსია	**ცვლილების შინაარსი**
06/2022 v.1	დამტკიცდა პირველი ვერსია
12/2022 v.2	ნახაზები და ცხრილები გადაინომრა. პირველ ნახაზზე გასწორდა სენბის მიერ გარანტიის დადასტურების ვადა. შეიცვალა ცხრილი1-ის შენიშვნა.
06/2023 v.3	დაზუსტებები ბაზრის წესების ცვლილებებიდან გამომდინარე
06/2024 v.4	დაზუსტებები ბაზრის წესების ცვლილებებიდან გამომდინარე



[1]

ნახაზი 1

A. გარანტიის წარმოდგენა და ასახვა

გარანტიასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ბაზრის წესების VI თავით. მონაწილეს გარანტიის წარდგენა შეუძლია ყოველი სამუშაო დღის 09:00 (CET) საათამდე, ინფორმაციის მიმოცვლის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტის კვალიფიციური ელექტრონული შტამპით ან ხელმოწერით: ელექტრონულ ფოსტაზე - settlement@genex.ge ; ან წერილობითი ფორმით მისამართზე - ქ.თბილისი, 0102, კ. ხეთაგუროვის 36. სენბი ამოწმებს წარმოდგენილ გარანტიას და დადასტურების შემთხვევაში, მის დადასტურებულ რაოდენობას ასახავს კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში, სადაც მონაწილეს შეუძლია ნახოს მისი დადასტურებელი გარანტიების რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ სრულად ან ნაწილობრივ არ ხდება გარანტიის დადასტურება, სენბი აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს მონაწილის საკლირინგო წარმომადგენელს. კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში აისახება წარმოდგენილი გარანტიების ჯამური ოდენობა. მაგალითად, თუ მონაწილეს დადასტურებული აქვს 5,000 ლარის ოდენობით სარეზერვო აკრედიტივი და ამავდროულად სენბის ანგარიშზე განთავსებული აქვს 3,000 ლარის დეპოზიტი, სისტემაში აისახება ჯამური, 8,000 ლარის ოდენობის გარანტია [დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების 50-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული InLim].

გარანტიის სხვადასხვა ფორმის დადასტურება:

– საბანკო წერილი (გარანტია, სარეზერვო აკრედიტივი): სენბი ამოწმებს წარმოდგენილი გარანტიის ნამდვილობასა და მის შესაბამისობას *„მოთხოვნები გარანტიის მიმართ“*

[1] ნახაზი 1-ზე D აღნიშნავს ელექტროენერგიის ფიზიკური მიწოდების დღეს.

განსაზღვრულ პირობებთან. დადასტურების შემთხვევაში, გარანტია ჩაითვლება მიღებულად, სხვა შემთხვევაში, გარანტია არ დადასტურდება და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება მონაწილის საკლირინგო წარმომადგენელს;

– Გარანტიის მიმართ მოთხოვნებში მოცემული "დეპოზიტის წერილის" ბირჟის ოპერატორისთვის გაგზავნის შემდგომ, სენბის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა: სენბი ყოველი სამუშაო დღის 09:00 (CET) საათზე ამოწმებს დეპოზიტის განთავსებისათვის გამოყოფილ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ თანხებს და შესაბამისი გარანტია აისახება კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში. გარანტიის სახით თანხის დეპოზიტზე ჩარიცხვა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:

<u>საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები:</u>

ბანკის დასახელება	სს "თიბისი ბანკი"
მიმღები	სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“
SWIFT	TBCBGE22
IBAN	GE15TB7434736030100003

– ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ: სენბის ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას *„მოთხოვნები გარანტიის მიმართ“* განსაზღვრულ პირობებთან. გადამოწმება სხვა საკითხებთან ერთად შეიძლება მოიცავდეს მესამე მხარის მიერ დადასტურების გადამოწმებას, რისთვისაც, საჭირო იქნება მესამე მხარის დროული რეაგირება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი გარანტიის დადასტურება არ მოხდება. *„მოთხოვნები გარანტიის მიმართ“ შესაბამისად, თუ მესამე პირის მიერ ნებისმიერი ორი კვირის განმავლობაში ორჯერ მაინც არ მოხდება გაცემული გარანტიის შესაბამისი ვაჭრობა ბირჟაზე, რის გამოც ვერ ხდება განსაზღვრული ოდენობით გარანტიის დადასტურება, წარმოდგენილი გარანტიის გაუქმების შესახებ ეცნობებათ მხარეებს და მიეცემათ სულ მცირე 5 სამუშაო დღე ახალი გარანტიის წარმოსადგენად.*

იმ შეთხვევაში, თუ გარანტია დროულად ვერ დადასტურდება, მონაწილის ან მესამე მხარის ხელმიუწვდომლობის, ან რაიმე სხვა სენბისგან დამოუკიდებელი მიზეზით, გარანტიის კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში აისახება დადასტურების შემდეგ, რამდენად სწრაფადაც ეს ტექნიკურად იქნება შესაძლებელი.

რეკომენდაცია

გარანტია, რომელიც საჭიროებს დადასტურების პროცედურებს, წარმოადგინეთ ვაჭრობის წინა დღეს, რათა დაცული იყოთ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო მისი დადასტურების შეფერხებით გამოწვეული ზიანისაგან.

გარანტიის ოდენობის გაანგარიშება

„დღით ადრე და დღიური ბაზრის წესების“ შესაბამისად, ბირჟაზე ვაჭრობა ხდება სავაჭრო ლიმიტებით, რაც გულისხმობს, რომ მონაწილე ვერ განათავსებს განაცხადს, რომლის

მოსალოდნელი მაქსიმალური ვალდებულება სენბის წინაშე აღემატება მის სავაჭრო ლიმიტს.

სავაჭრო ლიმიტი იანგარიშება დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების 50-ე მუხლის შესაბამისად. იგი წარმოადგენს შემდეგი კომპონენტების ჯამს:

- წარმოდგენილი და ხელმისაწვდომი გარანტია (+);
- უკვე განთავსებული განაცხადებიდან გამომდინარე, მაქსიმალური მოსალოდნელი ვალდებულება სენბის წინაშე (-);
- უკვე დაწყვილებული/დასრულებული აუქციონიდან გამომდინარე წარმოქმნილი ვალდებულება, რომელიც არ არის გადახდილი (მიუხედავად იმისა, ინვოისი არის გამოწერილი თუ არა) (+/-).

შესაბამისად, მონაწილემ თავად უნდა განსაზღვროს თუ რა რაოდენობის გარანტიის განთავსება სჭირდება, საჭირო რაოდენობით ელექტროენერგიით ვაჭრობის მიზნით. გარანტიის საჭირო ოდენობის გაანგარიშებას ახდენს მონაწილე, მისი ვაჭრობის სტრატეგიიდან გამომდინარე.

მონაწილე ასევე თავად განსაზღვრავს თუ რა ფორმით წარმოადგინოს გარანტია. იგი თავისუფალია გამოიყენოს როგორც ერთი, ასევე ერთზე მეტი ფორმის გარანტია ერთდროულად.

B. ვალდებულებების გაანგარიშება და ინვოისის გამოწერა

B.1 პროცესი

ვაჭრობის ყოველ დღეს, ვაჭრობის შედეგების გაანგარიშების შემდეგ ხდება მიმდინარე ვალდებულებების გაანგარიშება და საკლირინგო ანგარიშების შესაბამისი განახლება. პროცესი დღით ადრე ბაზარზე სრულდება ვაჭრობის დღეს, ხოლო დღიური ბაზრის შემთხვევაში - ვაჭრობის დასრულების მომდევნო დღეს. შედეგები აისახება კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში.

ბირჟაზე ვაჭრობის შედეგად დამდგარი ვალდებულებების შესაბამისად გამოიწერება ინვოისები. დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობის დასრულების შემდეგ, ვაჭრობის დღის 15:00 (CET) საათამდე, ხოლო დღიურ ბაზარზე ვაჭრობის დასრულების მომდევნო დღის 15:00 (CET) საათამდე, მონაწილე მიიღებს ინვოისებს კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში. ინვოისები გამოიწერება ყოველდღიურად, თუმცა გადახდის ვალდებულება მხარეებს უდგებათ მხოლოდ საბანკო დღეებში, რაც ასახულია ინვოისში. სენბის მიერ ინვოისი გამოიწერება როგორც ბირჟაზე შესყიდულ, ისე გაყიდულ რაოდენობაზე. შესყიდულ და გაყიდულ ელექტროენერგიაზე ინვოისები გამოიწერება ცალ-ცალკე (ერთ საკლირინგო ანგარიშზე გამოიწერება ორი ინვოისი - ყიდვისა და გაყიდვის).მაგალითად, თუ მონაწილემ მისი ერთადერთი პორტფელით დღის გარკვეულ პერიოდში იყიდა ელექტროენერგია, ხოლო დანარჩენ პერიოდში გაყიდა, რის შედეგად მას სენბის მიმართ გაუჩნდა როგორც მოთხოვნა ისე ვალდებულება, მას ამ დღის ვაჭრობისათვის გამოეწერება ორი ინვოისი - ერთი გაყიდვისათვის, ხოლო მეორე ყიდვისათვის.

თუ გადავადდება ბირჟაზე წონასწორობის წერტილის დადგენა , ინვოისი გამოიწერება კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში დაგვიანებით. იმ შემთხვევაში, თუ ვაჭრობა შედგა, მაგრამ ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ ხერხდება ინვოისის ანგარიშსწორების პლატფორმაზე გენერირება, მექანიკურად გამოწერილი ინვოისი მიეწოდება მონაწილესა და მის საკლირინგო წარმომადგენლებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

B.2 ინვოისი

სტანდარტული ინვოისის ფორმა და შესაბამისი განმარტებები იხილეთ ნახაზი 2-ზე.



ნახაზი 2

A. ფიზიკური მიწოდების დღეების, რომელთათვისაც გამოწერილია ინვოისი. გაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის ინტერვალი, არამედ კონკრეტული დღეები.
B. ბარზის სეგმენტი (GEXID - დღიური ბაზრის შემთხვევაში,GENEXDA - დღით ადრე ბაზრის შემთხვევაში.)
C. [A] მიწოდების დღის/დღეებისათვის ბირჟაზე ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობა (მგვტ.სთ).
D. [A] მიწოდების დღის/დღეებისთვის ბირჟაზე ნავაჭრი ელექტროენერგიის ღირებულება, დღგ-ის გარეშე (ლარი) (თუ დადებითია - შესყიდვა, თუ უარყოფითია - გაყიდვა.)
E. წმინდა ვალდებულება
F. დღგ (ლარი)
G. [D]+[E]
H. გადამხდელი მხარე (სენბის მიერ გადასახდელი ან მონაწილის მიერ გადასახდელი)
I. წლის დასაწყისიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით ბირჟაზე ვაჭრობის შედეგად მონაწილისთვის გამოწერილი ინვოისების ჯამური ღირებულება, დღგ- გარეშე.

B.3 პორტფელი და საკლირინგო ანგარიში

ბირჟაზე ვაჭრობის მიზნით მონაწილე ქმნის პორტფელებს, რომელთა მიხედვითაც ათავსებს განაცხადებს. ვაჭრობის შედეგებიც, ასევე, მოცემულია პორტფელების მიხედვით.

- მონაწილეს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი პორტფელი;
- მონაწილის პორტფელების რაოდენობა შეზღუდული არ არის;



ნახაზი 3

ანგარიშსწორების მიზნით მონაწილე ქმნის საკლირინგო ანგარიშებს. საკლირინგო ანგარიშის მიხედვით ხდება მისაღები/გადასახდელი თანხების გაანგარიშება და შესაბამისი ინვოისების გამოწერა. რამდენიმე ფაქტი საკლირინგო ანგარიშების შესახებ:

- მონაწილეს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი საკლირინგო ანგარიში;
- თითოეული პორტფელი დაკავშირებული უნდა იყოს საკლირინგო ანგარიშთან;
- ერთი პორტფელი არ შეიძლება დაკავშირდეს ერთზე მეტ საკლირინგო ანგარიშთან, მაგრამ რამდენიმე პორტფელი შეიძლება დაკავშირდეს ერთ საკლირინგო ანგარიშთან. შესაბამისად, მისაღები/გადასახდელი თანხების გაანგარიშება და შესაბამისი ინვოისების გამოწერა მოხდება საკლირინგო ანგარიშთან დაკავშირებული ყველა პორტფელით ვაჭრობის შედეგების აგრეგირებით/შეჯამებით. მონაწილის ერთ საკლირინგო ანგარიშთან შესაძლებელია მხოლოდ ბაზრის ერთი სეგმენტის პორტფელების დაკავშირება.
- გადასახდელი თანხები და გადახდის ვადები განისაზღვრება საკლირინგო ანგარიშის მიხედვით. მაგალითი ცხრილის მიხედვით: მონაწილეს A საკლირინგო ანგარიშზე გაერთიანებული აქვს ორი პორტფელი - პორტფელი 1 და პორტფელი 2. ვაჭრობის შედეგების მიხედვით, პორტფელი 1-ით მონაწილეს სენბის მიმართ წარმოეშვა 100 ლარის გადახდის ვალდებულება, ხოლო პორტფელი 2-ით სენბის წარმოეშვა მონაწილის მიმართ 50 ლარის გადახდის ვალდებულება. ვინაიდან ერთ საკლირინგო ანგარიშზე ყიდვისა და გაყიდვისთვის ინვოისები გამოიწერება ცალ-ცალკე, მონაწილე საკლირინგო ანგარიშ A-ზე მიიღებს ორ ინვოისს: ერთი ინვოისით მონაწილეს ექნება გადასახდელი 100 ლარი ინვოისის გამოწერიდან ერთ სამუშაო დღეში, ხოლო მეორე ინვოისით სენბი აუნაზღაურებს მონაწილეს 50 ლარს ორ სამუშაო დღეში.

- მონაწილეს ასევე აქვს მეორე საკლირინგო ანგარიში, საკლირინგო ანგარიში B, რომელშიც გაერთიანებული აქვს ორი პორტფელი - პორტფელი 3 და პორტფელი 4. ვაჭრობის შედეგების მიხედვით, მონაწილეს პორტფელ 3-ზე წარმოეშვა 120 ლარის, ხოლო პორტფელ 4-ზე 80 ლარის გადახდის ვალდებულება სენბის მიმართ. ვინაიდან მონაწილეს ორივე პორტფელზე წარმოეშვა ვალდებულება სენბის წინაში, შედეგები აგრეგირდება და გამოიწერება ერთი ინვოისი , რომლის მიხედვითაც მონაწილემ ერთ სამუშაო დღეში სენბის უნდა აუნაზღაუროს მასზე დაკისრებული ვალდებულება 200 ლარის ოდენობით.

ცხრილი 1

			ელექტროენერგიის ღირებულება (ლარი)		ინვოისის თანხა (ლარი)	გადახდის ვადა
			ზესყიდული	გაყიდული		
მონაწილე	საკლირინგო ანგარიში A	პორტფელი 1	100	0	100	T+i
		პორტფელი 2	0	-50	-50	T+ii
	საკლირინგო ანგარიში B	პორტფელი 3	120	0	200	T+i
		პორტფელი 4	80	0		

უარყოფითი რიცხვი აღნიშნავს სენბის ვალდებულება მონაწილის წინაშე,
დადებითი რიცხვი - მონაწილის ვალდებულებას სენბის წინაშე

C. ინვოისით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა/გადარიცხვა

C.1 პროცესი

დღით ადრე ან/და დღიურ ბაზარზე ვაჭრობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა:

- მონაწილემ უნდა უზრუნველყოს ინვოისის გამოწერის მომდევნო სამუშაო დღეს, 13:00 (CET) საათამდე (ამ ვადაში უნდა მოხდეს სენბის ანგარიშზე თანხის ასახვა);
- სენბიმ უნდა უზრუნველყოს ინვოისის გამოწერიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

საკლირინგო ანგარიშის განახლება და გადახდების ასახვა კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში - სენბის ანგარიშზე 13:00 (CET) საათის ჩათვლით ჩარიცხვების დამუშავება სრულდება 15:00 (CET) საათამდე და ეტაპობრივად 16:00 (CET) საათამდე აისახება კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში.

ფინანსური ანგარიშსწორებისას (თანხის გადარიცხვისას) გაიქვითება ის ინვოისები, რომელთა გადახდისა (სენბისთვის გადახდა) და მიღების (სენბისგან მიღების) ვადები ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, გადარიცხვა მოხდება გაქვითული თანხის შესაბამისად.

<u>მაგალითი:</u>

*დღით ადრე ბაზარზე 5 მარტის ვაჭრობის შედეგების მიხედვით, სენბის მონაწილისთვის გადასახდელი აქვს 50 ლარი **7 მარტს,** ხოლო 6 მარტის ვაჭრობის შედეგების მიხედვით, მონაწილეს სენბისთვის გადასახდელი აქვს 70 ლარი **7 მარტს.** მონაწილე უფლებამოსილია სენბის გადაუხადოს მხოლოდ სხვაობა, 20 ლარი.*მონაწილის მიერ ბირჟაზე ნავაჭრი ელექტროენერგიის ღირებულების გადახდა ხდება სენბის მიერ ამ მიზნით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე. გადახდისას დანიშნულებაში უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია: **სეგმენტი/სეგმენტები და შესაბამისი ვაჭრობის დღეები, ინვოისის/ინვოისების ნომრები**.

<u>საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები:</u>

ბანკის დასახელება	სს "თიბისი ბანკი"
მიმღები	სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“
SWIFT	TBCBGE22
IBAN	GE58TB7434736030100005

გაფრთხილება

გაითვალისწინეთ, რომ სწორ ანგარიშზე და ზუსტად (ინვოისში მითითებული ზუსტი თანხის, 1 თეთრის სიზუსტით) მოხდეს თანხის ჩარიცხვა. ბირჟაზე ვაჭრობის ანგარიშსწორებისათვის გამიზნულ ანგარიშზე ჩარიცხვა, მიუხედავად მიზნისა, მიიჩნევა, რომ არის ბირჟაზე ვაჭრობის შედეგად ბირჟის ოპერატორის წინაშე წარმოქმნილი ვალდებულების გადახდა. ზედმეტობით ჩარიცხული თანხა ავტომატურად განიხილება როგორც ავანსი, ანუ ბირჟის მიმართ მომავალი ფინანსური ვალდებულების წინსრებით დაფარვა და შესაბამისად იგი არ გაზრდის სავაჭრო ლიმიტს. დამატებით წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, შესაძლებელია, ზედმეტობით ჩარიცხული თანხის მიმართვა დეპოზიტის ანგარიშზე რის შემდგომაც შესაბამისი თანხა აისახება

როგორც მონაწილის გარანტია.

C.2 ანგარიშსწორება ფაქტორინგით

ბირჟის მონაწილეს უფლება აქვს სენბისთან ანგარიშსწორება აწარმოოს რევერსული ფაქტორინგის ხელშეკრულებით. ფაქტორინგის შემთხვევაში:

- ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბირჟაზე წარმოშობილი ვადამოუსვლელი **ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ ფაქტორისთვის დათმობა;**
- ხელშეკრულებით ფაქტორი აცხადებს თანხმობას **მოვალის ინვოისის სრულად ან ნაწილობრივ გადახდაზე,** მონაწილის მიერ ბირჟისგან ინვოისის მიღებიდან **1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში, დღით ადრე და დღიური ბაზრის წესების შესაბამისად**. ინვოისი წარმოადგენს ბაზრის წესების შესაბამისად სენბის სავაჭრო პლატფორმაზე გენერირებულ დოკუმენტს (ბაზრის წესები, მუხლი 45);
- ითვალისწინებს ფაქტორის მიერ შესაბამისი შეტყობინების კრედიტორისათვის გაგზავნას.

ფაქტორინგით ანგარიშსწორების შემთხვევაში მოქმედებს გადახდის იგივე ვადები, რაც სტანდარტული გადახდის შემთხვევაში.

ფაქტორის მიერ ინვოისის დროული გადაუხდელობისას, სენბი იბრუნებს ფაქტორისთის დათმობილ უფლებას და შესაბამისად უფლებამოსილია გაანაღდოს არსებული გარანტია მოვალის გაფრთხილების გარეშე.

D. მომსახურების საფასურის დარიცხვა და ბუღალტრული აღრიცხვა

ბირჟის ოპერირების საფასური დგინდება კომისიის მიერ. ბირჟის თითოეული სეგმენტისათვის დგინდება სამი სახის საფასური. ცხრილში მოცემულია საფასურები და მისი გადახდის ვადები:

- ბირჟაზე ნავაჭრი ყოველი მგვტ.სთ ელექტროენერგიისთვის;
- წლიური საფასური ბირჟაზე დაშვებისთვის, რაც მოიცავს ბირჟის შესაბამის სეგმენტზე ერთი პორტფელის რეგისტრაციის საფასურს;
- წლიური საფასური დამატებითი პორტფელის მომსახურებისთვის.

სეგმენტი	კატეგორია	დარიცხვის (ინვოისის გამოწერის) დრო	გადახდის ვადა
DAM/IDM **ცვლადი**	ბირჟაზე ნავაჭრი ყოველი მგვტ.სთ ელექტროენერგიისთვის	*საანგარიშო თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში *ან გარანტიის მოთხოვნის უფლების გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში.	ინვოისის მიღებიდან 5 საბანკო დღის ვადაში

DAM/IDM **წლიური** DAM/IDM **პორტფელი**	წლიური საფასური ბირჟაზე დაშვებისთვის წლიური საფასური ბირჟაზე დამატებითი პორტფელის მომსახურებისთვის	**არსებული მონაწილე:** არაა დაკონკრეტებული წესებში. ინვოისი გამოიწერება გადახდის ვადამდე გონივრული დროით ადრე **ახალი მონაწილე:** ინვოისის გამოწერა არ ხდება. მონაწილე იხდის რეგისტრაციამდე	**არსებული მონაწილე:** არაუგვიანეს კალენდარული წლის დაწყებამდე 10 საბანკო დღისა **ახალი მონაწილე:** კალენდარული წლის ბოლომდე დარჩენილი თვეების პროპორციულად (რეგისტრაციის/პორტფელის დამატების თვის ჩათვლით)

ცხრილი 2

ცვლადი საფასურის გამოწერა ხდება თითოეული მონაწილისთვის ჯამურად, მის მიერ ყველა პორტფელით ნავაჭრი ელექტროენერგიის გათვალისწინებით.

ინვოისების გამოწერა ხდება სენბის მიერ და ეგზავნებათ მონაწილეების საკლირინგო წარმომადგენლებს, ასევე იგზავნება მონაწილის მიერ რეგისტრაციისას მითითებული ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

მომსახურების საფასურის გადახდა ხდება სენბის მიერ ამ მიზნით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე. გადახდისას დანიშნულებაში უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია: **მომსახურების სახე/სახეები, მომსახურების პერიოდი, ინვოისის/ინვოისების ნომრები**.

საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები:

ბანკის დასახელება	სს "თიბისი ბანკი"
მიმღები	სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“
SWIFT	TBCBGE22
IBAN	GE85TB7434736030100004

E. პირგასამტეხლო

მონაწილეს პირგასამტეხლო დაეკისრება კანონმდებლობისა და ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე მონაწილედ რეგისტრაციის შესახებ განცხადების (რომელიც ბაზრის წესების შესაბამისად მიიჩნევა მონაწილეთა შორის შეთანხმებად) საფუძველზე. პირგასამტეხლოსთვის ინვოისის გამოწერა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საანგარიშო თვის დასრულებიდან 5 დღის ვადაში. სენბი ინვოისს პირგასამტეხლოსთვის გამოწერს უფრო მოკლე ვადაში, თუ მას სენბი მიიჩნევს მნიშვნელოვნად, ან არსებობს მონაწილის გადახდისუნარიანობის რისკი, ან გარანტიის მოთხოვნის უფლების გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში, ასევე სხვა გონივრული მიზეზის არსებობისას. პირგასამტეხლოს ჩარიცხვა ხდება სენბის ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტებით:

<u>საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები:</u>

ბანკის დასახელება	სს "თიბისი ბანკი"
მიმღები	სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“
SWIFT	TBCBGE22
IBAN	GE85TB7434736030100004

F. გარანტიის განაღდება

მონაწილის მიერ ინვოისითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შესაბამისი თანხის სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობის, ასევე ბირჟის ოპერატორის წინაშე არსებული სხვა ფინანსური ვალდებულების ვადაში სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, სენბი იწყებს მონაწილის მიერ წარმოდგენილი გარანტიის განაღდებას, რის შესახებაც აცნობებს მონაწილის საკლირინგო წარმომადგენელს.

გარანტიის განაღდება ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- თუ მონაწილეს აქვს თანხა განთავსებული დეპოზიტზე, პირველ რიგში ხდება მისი გამოყენება. დეპოზიტზე განთავსებული თანხის ათვისება ხდება იმავე დღეს, როცა მონაწილეს ეკისრებოდა გადახდის ვალდებულება;
- თუ დეპოზიტზე არ არის განთავსებული საჭირო რაოდენობის თანხა, სენბი იწყებს იმ გარანტიის განაღდების პროცედურას, რომლის განაღდებაც ყველაზე მოკლე დროში არის შესაძლებელი:
    - *დეპოზიტის შემდეგ, სენბის იყენებს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების საშუალებას და აღნიშნულის შესახებ მონაწილესთან ერთად აცნობებს მესამე მხარეს;*
    - *საბანკო წერილი არის ის ფორმა, რომლის განაღდებაც ხდება ყველაზე ბოლოს. განაღდების მოთხოვნით გარანტიის გამცემს მოთხოვნა ეგზავნება იმავე დღეს, როცა მონაწილეს ეკისრებოდა გადახდის ვალდებულება;*

გარანტიის განაღდების პარალელურად, ცვლილება აისახება საკლირინგო ანგარიშზე და შესაბამისი თანხით შემცირდება მონაწილის გარანტია (შესაბამისად, სავაჭრო ლიმიტი).

იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის განაღდების პროცესში, მის განაღდებამდე მონაწილემ გადაიხადა ინვოისით/ინვოისებით გათვალისწინებული თანხა და სურს საბანკო გარანტიის განაღდების პროცესის შეჩერება, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სენბის, რომელიც:

- შეაჩერებს საბანკო გარანტიის განაღდების პროცესს, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია და ამის შედეგად სენბის არ დაეკისრება რაიმე ხარჯი, ან
- გაანაღდებს საბანკო გარანტიას, ხოლო ჩარიცხულ თანხას მიმართავს დეპოზიტზე, თუ აღნიშნული შესაძლებელია ფაქტორინგის ხელშეკრულების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

G. სხვა საკითხები

იმ შემთხვევაში, თუ დადგება შემთხვევა, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ წესებით, სენბი მონაწილეთა ინტერესის გათვალისწინებით და მათთან კოორდინაციით გამოიყენებს ტექნიკურად მისაღებ გადაწყვეტას.